ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5997859

ნომერი: AR1899951

თარიღი : 24.05.2022

გაცემის თარიღი : 22.06.2022

გაცნობის თარიღი : 22.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი 3 მ/რ-ის მიმდ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 5546294
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 16.08.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა.საცხოვრებელი (75%); საზოგადოებრივი (25%)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლუკა ჩაგანავა
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. ,,ნს სტუდიო''

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404496933

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კახი ხელაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 31001001364

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2940.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 14621.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 11832.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 5133.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 617.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1149.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 744.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1262.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 270.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 2620.0
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 37.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 48095.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 39465.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 8630.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 41.95
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 34.35
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 7.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1576.7/2940=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 10346/2940=3.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 930.1/2940=0.3

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5843328
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 11.03.2022

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5843328
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.03.2022

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „ემ კუბი“. მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი. შესაბამისად, წარმოდგენილი იქნას მითითებული დამკვეთის - კახი ხელაშვილის მიერ მიწის ნაკვეთით სამშენებლოდ განვითარების ინტერესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე, განცხადებელზე გაცემული განახლებული მინდობილობა (წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია). ან დამკვეთად დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე - შპს „ემ კუბი“ , წარმოდგენილი იქნას შპს „ემ კუბის“ მიერ განმცხადებელზე გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, ასევე, საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ვალდებულების საფუძველი (აღნაგობის საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულება, გაფორმების თარიღი:20/10/2021) და საჭიროების შემთხვევაში, კახი ხელაშვილის მიერ გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.

02. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
წარმოდგენილ იქნას შეთანხმებული: გამწვანების პროექტი, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე, საინჟინრო გაყვანილობების სქემები.

03.კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
მონიშნულ იქნას უკვე ნაწარმოები სამუშაოები.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.